ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №09

2015 წლის 30 იანვარი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე შსს სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოზე"- უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შსს სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოზე" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, მოვლა-პატრონობის მიზნით გადასცეს მოძრავი ქონება, კერძოდ სატრანსპორტო საშუალებები: ავტომანქანა „ნივა" (VAZ 2121),VIG 528 და ავტომანქანა ზილ-130, აც-40, გრდ 7565.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**